MES 9 22 0001385346

01/11/2022

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 18.10.2022**
**სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 17:50 სთ**
**საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი**
**საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მადგილე;
3. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
4. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
5. **ლევან მოსახლიშვილი -** სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
6. **ირინა გველესიანი - სსიპ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
8. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
10. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
11. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
16. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე.

**სხდომაზე დამსწრე პირები**

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

| N | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | **ანალელაძე** | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 2 | **ლალი ოდიშვილი** | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი |

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

| № | სახელი, გვარი | საგანმანათლებლო დაწესებულება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1 | პაატა გოგიშვილი | ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი | I |
| 2 | ბაია ჯაფარიძე | | ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი | I |
| 3 | ზურაბ ბერია | | პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 4 | მიხეილ ტეფნაძე | | ასოცირებული პროფესორი | I |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5 | პაპუნა გურული | | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანი | I |
| 7 | მაკა ბერაძე | სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | დაწესებულების რექტორი | II, III |
| 8 | ნინო მილაშვილი | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | II, III |
| 9 | რევაზ ჭიღლაძე | | პროგრამის ხელმძღვანელი | II, III |
| 10 | რევაზ ჭანიშვილი | | სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი | II, III |
| 12 | ნინო ღაღანიძე | სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | IV |
| 13 | ანა კლიდიაშვილი | | ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | IV |
| 14 | ლელა ფირალიშვილი | | საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი | IV |
| | ნინო ჭოღოშვილი | | რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი | IV |
| 15 | ნოდარ ამაშუკელი | | რექტორის მოვალეობის შესმრულებელი | IV |
| 16 | გიორგი მათიაშვილი | შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი | რექტორი | V |
| 17 | ელისო ელისაშვილი | | კანცლერი | V |
| 18 | ლალი ჩაგელიშვილი - აგლაძე | | ვიცე რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით | V |
| 19 | მარიამ დარბაიძე | | კანცლერის მრჩეველი | V |
| 20 | ნინა კეკელიძე | | პროგრამის ხელმძღვანელი | V |
| 21 | გელა ალადაშვილი | | ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი | V |
| 22 | ლიკა ხარებავა | | ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | V |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

**აკრედიტაციის ექსპერტები:**

| N | სახელი, გვარი | ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | მიხეილ გიორგაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 2 | გიორგი რამიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | II, III |
| 3 | გიორგი დალაქიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | II, III |
| 4 | თამთა ცხოვრებაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | II, III |
| 5 | გიორგი არქანია | (ჩაერთო „ზუმით“) | II, III |
| 6 | ელენე გავაშელიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |
| 7 | თინათინ გაბრიჩიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |
| 8 | ჯოვანა აბლოთია | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |
| 9 | თამარ გვიანიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | V |
| 10 | შალვა მესხი | (ჩაერთო „ზუმით“) | V |
| 11 | ვალერი არღუთაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | V |
| 12 | ეკა დევიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | V |

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის საკითხი;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები)“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

√ დიახ

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები ექსპერტთა ჯგუფს საბჭოს წინაშე წარმოედგინა ერთად შემდეგ გასულიყვნენ სათათბიროდ. თუმცა ამავე დროს რიგითობის ცვლილება დღის წესრიგში არ განხორციელებულა.

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის საკითხი;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები)“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**1.პირველი საკითხი :** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (ისტორია - გეოგრაფია - მოქალაქეობა) საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2021 წლის 3 აგვისტო N 765577 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე - 7 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | განათლების მაგისტრი (საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში) |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 300 |
| 14 | განხორციელების ადგილი | საქართველო, ქ.თბილისი 0179, ილია ჭავჭავაძის გამზირი .№53ა |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

√ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

ექსპერტმა განაცხადა, რომ გაცემული იყო ცხრა რეკომენდაცია, რეკომენდაციების ნაწილი უკავშირდებოდა პროგრამის ტექნიკურ გაფორმებას, კერძოდ სასწავლო გეგმას, კომპეტენციების რუქას, სწავლის შედეგების შეფასების გეგმას და ა.შ. ასევე გარკვეული რეკომენდაციები ეხებოდა პროგრამის შინაარსობრივ მხარესაც. აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულება ყურადღებით მოეკიდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, საბჭოს მოსაზრებებს და ყველა რეკომენდაცია ზედმიწევნით იყო შესრულებული.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია, როგორც ექსპერტის მიერ აღინიშნა გაითვალისწინეს და შეასრულეს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველი მიღება პროგრამაზე განხორციელდა გასულ წელს და ჩაირიცხა სამი სტუდენტი, ხოლო მიმდინარე წელს პროგრამაზე ჩაირიცხა ორი სტუდენტი.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 14:30**
**დასრულების დრო: 14:40**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი;

**კენჭისყრისშედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ მუხლის მე - 2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის საფუძველზე ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული

საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (ისტორია - გეოგრაფია - მოქალაქეობა) წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**2.მეორე საკითხი:** სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | 1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;<br>2. სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე - 8 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ფიზიკის დოქტორი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0533 - ფიზიკა |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 50 |
| 14 | განხორციელების ადგილი | საქართველო, ქ. ახალციხე 0800, რუსთაველის ქ. №122. უნივერსიტეტის II კორპუსი |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**3.მესამე საკითხი :** სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | 1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;<br>2. სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე - 8 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ფიზიკის დოქტორი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0533 - ფიზიკა |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 50 |
| 14 | განხორციელების ადგილი | საქართველო,ქ. ახალციხე 0800, რუსთაველის ქ. №122. უნივერსიტეტის II კორპუსი |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

√ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე და მესამე საკითხების ზეპირი მოსმენა**

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა იმის თაობაზე, რომ ვინაიდან საბჭოზე სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი იყო სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები, მათი განხილვა განხორციელებულიყო ერთად.
საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ აღნიშნულ შუამდგომლობას.

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა მხოლოდ ორი რეკომენდაცია. პროგრამები გახლდათ კარგი და მათი რეკომენდაციები უფრო მეტად შეუწყობდა ხელს მათ გაუმჯობესებას. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა 2.2 ქვესტანდარტს. დაწესებულებას შემოთავაზებული ჰქონდა გეგმა, თუ რა უნდა ჰქონოდა გაკეთებული დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე და ერთ-ერთი პუნქტი იყო სამი სტატიის წარმოდგენა მაღალრეიტინგულ რეფერირებად ჟურნალში. მათი რეკომენდაცია რომ გამოექვეყნებინათ მინიმუმ 2 ნაშრომი პირველი ავტორობით საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში, რომელიც ინდექსირებული უნდა ყოფილიყო Scopus ან/და Claryvate analytics - ით 1-ზე უფრო მაღალი იმპაქტ - ფაქტორით /CiteScore/. დაწესებულება დაეთანხმა მათ მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული მეორე რეკომენდაცია ეხებოდა მეხუთე სტანდარტს. რეკომენდირებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უზრუნველეყო პროგრამის პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობა და ჩართულობა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, კვლევითი გარემოს, დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმების შეფასების პროცესში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა გახლდათ ახალი და სამომავლოდ თუ მოცემული რეკომენდაციები შესრულდებოდა და ხარისხის სამსახური მუდმივად განახორციელებდა მოცემულ აქტივობას აღნიშნული აუცილებლად უზრუნველყოფდა პროგრამის წარმატებით განხორციელებას. ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამას გააჩნდა პოტენციალი, ვინაიდან მასში ჩართული იყო 13 კვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებდა პროგრამა განეხორციელებინათ თუ იქნებოდა შესაბამისი მონდომება და ხელშეწყობა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რიპოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამები ძალიან მნიშვნელოვანი იყო დაწესებულებისათვის, ვინაიდან პირდაპირ იყო კავშირში მის მისიასთან და სტრატეგიულ ხედვასთან. ასევე პროგრამების ერთობლივი სახით განხორციელება მათთვის კარგი და მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო. ერთობლივი პროგრამის ფარგლებში გაერთიანებული ძალებით დოქტორანტებს მიეცათ განვითარების შანსი. ასევე, ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი პროგრამების არსებობა ხელს უწყობდა დაწესებულების განვითარებასაც. დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და მიჩნეული იყო, რომ რეკომენდაციები პროგრამების განვითარებას ემსახურებოდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ 30 წლიანი თანამშრომლობის გამოცდილება აბასთუმნის ობსერვატორიასთან, მათ მოამზადეს ორასამდე პერსონალი, ორმოცი მაგისტრი და ათი დოქტორანტი ძველი პროგრამიდან. მათ ჰქონდათ ორასამდე სამეცნიერო ნაშრომი მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. ყოველივე აღნიშნული იძლეოდა მყარ

საფუძველს იმისათვის რომ, მიღებული ყოფილიყო ექსპერტების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაცია, ვინაიდან მათ ჰქონდათ მისი შესრულების პოტენციალი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების ბაზრის კვლევით და დასაქმების საკითხით. მათი დასაქმების სფერო პროგრამის მიხედვით გახლდათ ობსერვატორიები, სასწავლო და კვლევითი დაწესებულებები. უშუალოდ ბაზრის კვლევის დოკუმენტში კვლევა სამომავლო დასაქმების კუთხით განხორციელებული იყო მხოლოდ საჯარო სკოლებში. შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით სთხოვა განმარტება დაწესებულების წარმომადგენელს. ასევე, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რომელ სემესტრში იწყებდა დოქტორანტი კვლევით კომპონენტზე მუშაობას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კვლევით კომპონენტზე მუშაობას დოქტორანტი იწყებდა მეორე სემესტრიდან. პირველი სემესტრი ეთმობოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნას და სასწავლო კომპონენტის გავლას. პროგრამას ჰქონდა სამეცნიერო კომპონენტის შესრულების გარკვეული ეტაპები. აღსანიშნავი იყო, რომ მიღების წინაპირობების თანახმად, სტუდენტი ჩარიცხვამდე წარადგენდა კვლევით განაცხადს.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა წინაპირობა იყო განსაზღვრული სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დასაწყებად.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის წინაპირობას წარმოადგენდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცება.
საბჭოს თავმჯდომარემ სემინართან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის თანახმად სტუდენტს სემინარზე მუშაობა შეეძლო მეორე და მესამე სემესტრში. მან აღნიშნულთან დაკავშირებით მოითხოვა დაწესებულების მხრიდან განმარტება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სემინარი არ ეხებოდა დისერტაციის თემას. ის არ იყო სადისერტაციო ნაშრომის წინაპირობა.
საბჭოს წევრი ირინა გველესიანი დაინტერესდა, თუ რა სახის აქტივობები იგეგმებოდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველი საკითხი ინტერნაციონალიზაციის _კუთხით გახლდათ ინგილსურენოვანი პროგრამის წარმოდგენა, რაც დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში განიხილებოდა პრიორიტეტულად, რათა ხელი შეეწყო ინსტიტუციის საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას. მას შემდეგ რაც პროგრამა იქნებოდა აკრედიტებული იგეგმებოდა მნიშვნელოვანი ეტაპი პროგრამების ცნობადობის ამაღლების მიზნით. კერძოდ, მათ რეკლამირებას საერთაშორისო პარტნიორებთან, ღია ფორუმებში ჩართულობა, იგეგმებოდა საერთაშორისო კონფერენცია ასტრონომიისა და ასტროფიზიკის მიმართულებით, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად იგეგმებოდა ღონისძიებები და ასტროფიზიკის ობსერვატორიის რესურსი ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით გამოყენებული იქნებოდა. ასევე, აღსანიშნავი იყო პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალი უცხოეთიდან, მონაწილეობა საერთაშორისო ფორუმებში, გამოქვეყნებები საერთაშორისო ჟურნალებში. შესაბამისად, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტები თავად პროგრამებში იყო ინტეგრირებული.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძემ განაცხადა, რომ მისი ყურადღება მიიპყრო რჩევების ნაწილმა, რომელიც ბმაში იყო ბიუჯეტთან. კერძოდ, მესამე რჩევის თანახმად საჭირო იყო არსებული კომპიუტერების მოდერნიზება, გაუმჯობესება, შეძენა საბოლოო სამუშაოების მაღალ ეფექტურად შესრულებისათვის. მას აინტერესებდა ბიუჯეტის დოკუმენტის თანახმად, რამდენად ითვალისწინებდა ინსტიტუცია კომპიუტერების განახლებას და მოდერნიზებას ან როგორ იგეგმებოდა აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფა. ასევე თითო პროგრამის სამივე კურსთან მიმართებით იმპაქტ ფაქტორიან ან საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომების გამოსაქვეყნებლად გათვალისწინებული იყო 500 ლარი. მას აინტერესებდა აღნიშნული თანხა რამდენად საკმარისი იყო 5 დოქტორანტზე გათვლით ან აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჭრილში. მან, ასევე აღნიშნა ერთ-ერთი რჩევა სადაც ექსპერტები მიუთითებდნენ რომ, 20-ზე მეტი სავალდებულო ლიტერატურა სტუდენტისათვის

იქნებოდა არაეფექტური და დამაბნეველი, მათი რაოდენობა სასურველია შემცირებული ყოფილიყო 5-6 გამოცემამდე, დანარჩენი გადატანილი უნდა ყოფილიყო დამატებით ლიტერატურაში. თუ აღნიშნული ლიტერატურა იყო დამაბნეველი და ზედმეტი, საინტერესო იყო თუ როგორ განხორციელდებოდა სასწავლო კომპონენტის შესრულება. მას, ასევე ინგლისურენოვან პროგრამასთან მიმართებით აინტერესებდა რამდენად შეესაბამებოდა მათი ინგლოსური ენის დონე მოთხოვნილ სტანდარტს და შეძლებდნენ თუ არა ინგლისურ ენაზე კურსების წარმართვას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საწყის ეტაპზე კომპიუტერების რაოდენობა და მათი ტექნიკური უზრუნველყოფა საკმარისი იყო, თუმცა შესაძლებელი იყო მას შემდეგ რაც დოქტორანტები დაიწყებდნენ მსხვილ ტექნიკურ ბაზებთან მუშაობას, არსებული რესურსი არ ყოფილიყო საკმარისი. მისი მოსაზრებით ოპერატიული მეხსიერების გაუმჯობესება გადაჭრიდა პრობლემას. ვიზიტის დროს, რექტორატისგან გამოიხატა მზაობა რესურსების გაუმჯობესების თვალსაზრისით და ითქვა, რომ გარკვეული ტექნიკა უკვე შეკვეთილი იყო. რაც შეეხებოდა პერსონალს, მოწვეული პერსონალის დიდი ნაწილი მუშაობდა საზღვარგარეთ და მათი ინგლისური ენის კომპეტენცია არ იწვევდა ეჭვს. რაც შეეხებოდა გამოქვეყნებების დაფინანსების ოდენობას, აღნიშნული მიმართული იყო პერსონალისადმი, გამოცემის პრობლემა არ იდგა დღის წესრიგში ვინაიდან თავად აბასთუმნის ობსერვატორიას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები საერთაშორისო გამომცემლობებთან. რაც შეეხებოდა ლიტერატურის რაოდენობას, მხოლოდ 2 სილაბუსში იყო ჩამოწერილი მთელი ლიტერატურა და მათი რჩევა იყო გარკვეული ნაწილი გადატანილი ყოფილიყო დამატებით ლიტერატურაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 20-ზე მეტი ლიტერატურა არ იყო მითითებული ასტრონომიის მიმართულების სილაბუსებში. აღნიშნული მითითება მოცემული იყო მხოლოდ აკადემიური წერის და მეთოდიკის სილაბუსებში. ასევე, აღნიშნული ლიტერატურა შედგებოდა სამეცნიერო სტატიებისგან, ჩამონათვალი შესაძლოა იყო ვრცელი, მაგრამ მათი წაკითხვა და გაცნობა არ წარმოადგენდა სირთულეს. რაც შეეხებოდა კომპიუტერული რესურსების გაუმჯობესებას, მათ უკვე შეძენილი ჰქონდათ 60 ახალ სტანდარტებზე აგებული კომპიუტერები. რაც შეეხებოდა სტატიების დაფინანსებას, როგორც აღინიშნა, ობსერვატორიის მემორანდუმების თანახმად დოქტორანტებს ჰქონდა საშუალება უფასოდ გამოექვეყნებინათ სტატიები. რაც შეეხებოდა ბიუჯეტში გათვალისწინებულ 500 ლარს, აღნიშნული გათვლა მორგებული იყო ადრე არსებულ რეალობას და მიმდინარე ეტაპზე გრძელდებოდა დაფინანსების ზრდა. რაც შეეხებოდა შრომის ბაზრის კვლევას, ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები როგორც საქართველოში, ასევე მათ უცხოელ პარტნიორ ორგანიზაციებთან. სამწუხარო იყო, რომ მოცემული მონაცემები სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ასახულა. სწორედ შრომის ბაზრის კვლევის შემდეგ დადასტურდა, რომ არცერთ საქართველოს მეზობელ სივრცეში არ არსებობდა ასტრონომიის მიმართულებით ინგლისურენოვანი პროგრამა, რაც გახდა ინგლისურენოვანი პროგრამის შექმნის მოტივაცია. ასევე, ქართულენოვანი პროგრამა წარმოადგენდა პირველ რიგში ქვეყანაში დარგის განვითარების მნიშვნელოვან პერსპექტივას.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა ორი ნაშრომი მაღალრეიტინგულ რეფერირებად ჟურნალში პირველი ავტორობით რამდენად მოსწრებადი იქნებოდა სამი წლის განმავლობაში, ვინაიდან დროის ფაქტორი იყო პრობლემური, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი მოთხოვნილი ყოფილიყო მხოლოდ ერთი ნაშრომი მოცემული კრიტერიუმებით შესრულებული.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაციით განსაზღვრული მოთხოვნა გამომდინარეობდა სპეციფიკიდან. როგორც კი მოიხსნებოდა, სახეზე იქნებოდა სტატიის ხარისხის შემცირება. თუ აღნიშნული გამოწვევა მიღებული იქნებოდა, დაწესებულებას ექნებოდა შესაძლებლობა გამხდარიყო ერთ-ერთი ლიდერი ევროპული მასშტაბით.

საბჭოს თავმჯომარემ განაცხადა, რომ ერთ ხელმძღვანელზე განსაზღვრული იყო 5 დოქტორანტის ხელმძღვანელობა. მას აინტერესებდა რამდენად მოახერხებდა ერთი

ხელმძღვანელი 5 დოქტორანტის გაძღოლას. ასევე, მას აინტერესებდა დაწესებულების გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში სადოქტორო ნაშრომების დაცვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის რეგულაცია გულისხმობდა სხვადასხვა საფეხურის მაქსიმუმ 5 სტუდენტის ხელმძღვანელობას ერთი პროფესორის მიერ. აღნიშნული ჩანაწერი არ გულისხმობდა მხოლოდ სადოქტორო საფეხურის სტუდენტებს. ასევე, აღსანიშნავი იყო, რომ ყოველწლიურად სადოქტორო საფეხურზე მიიღებოდა ერთი ან ორი დოქტორანტი, ასევე სადოქტორო პროგრამებზე მიღება არ ცხადდებოდა ყოველწლიურად. სანამ არ მომზადდებოდა გარკვეული რაოდენობის დისერტაციები იმავე პროგრამის ფარგლებში მკაცრად კონტროლდებოდა სტუდენტების მიღების საკითხი. უნივერსიტეტს არ ჰქონია შემთხვევა ერთ ხელმძღვანელს ჰყოლოდა 5 დოქტორანტი. რაც შეეხებოდა დისერტაციების სტატისტიკას, ბოლო 5 წლის მანძილზე დაცული იყო 7 დისერტაცია. სადისერტაციო საბჭო განსაზღვრავდა რესურსებს და სადოქტორო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობას.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა დასაქმების საკითხი. კერძოდ, დოკუმენტის თანახმად დოქტორანტს შეეძლო დასაქმებულიყო საჯარო სკოლაში. მას აინტერესებდა, როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება საჯარო სკოლაში დოქტორის ხარისხის მქონე კურსდამთვარებულის დასაქმებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მასწავლებლისათვის დოქტორის ხარისხის ქონა იყო სტიმული ის გახდებოდა მენტორ-მასწავლებელი, რაც იყო კარიერული ზრდის თვალსაზრისით ყველაზე მაღალი ხარისხი.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 15:20**
**დასრულების დრო: 16:22**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2027 წლის 1 ივლისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული

ატროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2027 წლის 1 ივლისამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, გაფართოვდეს დასაქმების არეალი პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია, სასწავლო კომპონენტი დასრულდეს პირველ სასწავლო წელს;
- რეკომენდებულია, დოქტორანტს მოეთხოვოს მინიმუმ 2 ნაშრომის პირველი ავტორობით გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, რომელიც ინდექსირებული უნდა იყოს Scopus ან/და Claryvate analytics - ით 1-ზე უფრო მაღალი იმპაქტ - ფაქტორით /CiteScore/.
- რეკომენდებულია, განისაზღვროს დოქტორანტებისა და თემის ხელმძღვანელის რაოდენობის თანაფარდობა;
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს პროგრამის პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობა და ჩართულობა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, კვლევითი გარემოს, დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმების შეფასების პროცესებში.

**რჩევები:**

- სასურველია, აკადემიური პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილ იქნას დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევით პროექტებში დიდი ჩართულობა სწავლების პირველივე წლიდან;
- საჭიროა უფრო ემტი ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში და ერთობლივ პროექტებში სხვა უნივერსიტეტებთან (სხვა დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი ხელმძღვანელობით შესრულებული სადოქტორო ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, ერთობლივი მოხსენებები და ა.შ);
- საჭიროა საწყის ეტაპზე საკმარისი, არსებული კომპიუტერების მოდერნიზაცია-გაუმჯობესება ან ახლების შეძენა სერიოზული საბოლოო სამუშაოების მაღალეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად;
- პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა უნდა გამოიყენოს მოწვეული მაღალკვალიფიციური მოწვეული სპეციალისტების, აბასთუმნის ობსერვატორიის თანამშრომლების, დიდი მოცულობის მონაცემთა ბაზებთან მუშაობის გამოცდილება შესაბამისი მიმართულების დეფიციტური სპეციალისტების აღსაზრდელად;
- გასააზრებელია პოტენციურ დამსაქმებლებად სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სახელმწიფო და სხვადასხვა სახის სტატისტიკური დაწესებულებები, რომელთაც ძალიან სჭირდებათ ინფორმაციულ ბაზებთან მომუშავე და დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავების მცოდნე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები;
- 20-ზე მეტი სავალდებულო ლიტერატურა არაეფექტური და დამაბნეველია სტუდენტისათვის. მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5-6 გამოცემას/წიგნს, დანარჩენი შეიძლება გადატანილ იქნას დამატებით ლიტერატურაში.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ატროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2027 წლის 1 ივლისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ატროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2027 წლის 1 ივლისამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, გაფართოვდეს დასაქმების არეალი პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია, სასწავლო კომპონენტი დასრულდეს პირველ სასწავლო წელს;
- რეკომენდებულია, დოქტორანტს მოეთხოვოს მინიმუმ 2 ნაშრომის პირველი ავტორობით გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, რომელიც ინდექსირებული უნდა იყოს Scopus ან/და Claryvate analytics - ით 1-ზე უფრო მაღალი იმპაქტ - ფაქტორით /CiteScore/.
- რეკომენდებულია, განისაზღვროს დოქტორანტებისა და თემის ხელმძღვანელის რაოდენობის თანაფარდობა;
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს პროგრამის პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობა და ჩართულობა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, კვლევითი გარემოს, დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმების შეფასების პროცესებში.

**რჩევები:**

- სასურველია, აკადემიური პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილ იქნას დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევით პროექტებში დიდი ჩართულობა სწავლების პირველივე წლიდან;
- საჭიროა უფრო ემტი ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში და ერთობლივ პროექტებში სხვა უნივერსიტეტებთან (სხვა დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი ხელმძღვანელობით შესრულებული სადოქტორო ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, ერთობლივი მოხსენებები და ა.შ);
- საჭიროა საწყის ეტაპზე საკმარისი, არსებული კომპიუტერების მოდერნიზაცია-გაუმჯობესება ან ახლების შეძენა სერიოზული საბოლოო სამუშაოების მაღალეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად;

- პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა უნდა გამოიყენოს მოწვეული მაღალკვალიფიციური მოწვეული სპეციალისტების, აბასთუმნის ობსერვატორიის თანამშრომლების, დიდი მოცულობის მონაცემთა ბაზებთან მუშაობის გამოცდილება შესაბამისი მიმართულების დეფიციტური სპეციალისტების აღსაზრდელად;
- გასააზრებელია პოტენციურ დამსაქმებლებად სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სახელმწიფო და სხვადასხვა სახის სტატისტიკური დაწესებულებები, რომელთაც ძალიან სჭირდებათ ინფორმაციულ ბაზებთან მომუშავე და დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავების მცოდნე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები;
- 20-ზე მეტი სავალდებულო ლიტერატურა არაეფექტური და დამაბნეველია სტუდენტისათვის. მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5-6 გამოცემას/წიგნს, დანარჩენი შეიძლება გადატანილ იქნას დამატებით ლიტერატურაში.

**4.მეოთხე საკითხი:** სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები)“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | კულტურის კვლევები (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაცია) |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე - 8 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | კულტურის კვლევების დოქტორი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0314 - სოციოლოგია და კულტურის კვლევები |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 50 |
| 14 | განხორციელების ადგილი | საქართველო, ქ. თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ., N22, |
| 15 | | - |

| | | |
|---|---|---|
| | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 18 ივლისს, პროგრამა შეფასდა დადებითად. პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა სრული შესაბამისობით, ხოლო მეორე სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით სტანდარტის მოთხოვნებთან. გაიცა ოთხი რეკომენდაცია, რომელიც ხელს შეუწყობდა პროგრამის განვითარებას. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის და სამიზნე ნიშნულების შემუშავებას. თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული ჰქონდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, მაგრამ აღნიშნული არ იყო წარმოდგენილი კონკრეტულად შეფასებული პროგრამისათვის. მეორე რეკომენდაციის მიხედვით პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული იყო ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ფლობა B2 დონეზე, სასწავლო ლიტერატურა ძირითადად წარმოდგენილი იყო ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, დაშვების წინაპირობად განსაზღვრულ ენებსა და ლიტერატურას შორის უნდა ყოფილიყო თავსებადობა. აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებული იყო ლიტერატურა წარმოდგენილი ყოფილიყო სხვა უცხოურ ენებზეც. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღსანიშნავი იყო, რომ თითქმის ყველა სილაბუსში შეფასების კომპონენტად გაწერილი იყო დასწრების 10 ქულა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიციის თანახმად ზოგიერთ მიმართულებებზე როგორიც იყო არქიტექტურა, მხატვრობა და ა.შ. მნიშვნელოვანი იყო დასწრება იმისათვის, რომ სტუდენტს ემუშავა სემინარის ფარგლებში და ლექტორს ჰქონოდა მასთან კომუნიკაციის საშუალება. ექსპერტების პოზიცია იყო, რომ პროგრამის ფარგლებში დასწრებასთან დაკავშირებით ქულის დაწერა არ იყო მიზანმიმართული და აუცილებელი. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების უფრო მეტ ფორმალიზებას. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი კარგი პრაქტიკა დაფიქსირდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობასთან დაკავშირებით, არ იყო ფორმალიზებული მიდგომა ოფიციალური დოკუმენტის სახით. გარკვეული მექანიზმები იყო გაწერილი მაგრამ ის არ იყო

დეტალური და არ მოიცავდა იმ ყველა მიმართულებას, რასაც დაწესებულება ახორციელებდა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია ხელს შეუწყობდა ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართული იყო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, პროგრამის შინაარს არ ჰქონდა ხარვეზი, შესაბამისად, არ დაფიქსირებულა გარემოება, რაც ხელს შეუშლიდა სწავლის შედეგების მიღწევას და კვალიფიკაციის მინიჭებას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარიპოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასწრების შეფასება იყო საერთო საუნივერსიტეტო საკითხი, რომელზეც მათ უკვე მიღებული ჰქონდათ გადაწყვეტილება თავისუფლება მიეცათ დაწესებულების ხუთივე ფაკულტეტისათვის. სპეციფიკიდან გამომდინარე ზოგიერთ პროგრამაზე სტუდენტის პროგრესის შეფასების თვალსაზრისით აუცილებელი იყო დასწრების შეფასება, რაც არ წარმოადგენდა აუცილებლობას ზოგიერთი თეორიული სპეციალობისათვის. 21 ოქტომბერს დანიშნული იყო აკადემიური საბჭო, სადაც მოხდებოდა აღნიშნული ცვლილების დამტკიცება. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემაში ფორმალიზებას, თავმოყრილი იყო ბოლო წლების გამოცდილება, სადაც გათვალისწინებული იყო პანდემიის პერიოდში ონლაინ სწავლების დროს გამოკვეთილი საკითხებიც და მიმდინარე წლის ბოლოს იგეგმებოდა ერთიანი დიდი დოკუმენტის ჩამოყალიბება, სადაც გაერთიანდებოდა სხვადასხვა ხარისხის მექანიზმების დახვეწის საკითხები. აღსანიშნავი იყო ელექტრონული რესურსების გაუმჯობესება. გაფორმდა ხელშეკრულებები სხვადასხვა ბაზებთან და განხორციელდა უკვე არსებული რესურსების გამრავალფეროვნება. შეირჩა ისეთი ბაზები, რომლებიც შეეფერებოდა ფართო სახელოვნებო, კულტუროლოგიურ, ხელოვნებათმცოდნეობის ჭრილს.
დაწესებულების წარმომადგენელმა უცხოურ ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ყველა დედანი უცხოენოვანი იქნებოდა ეს ფრანგული თუ გერმანული ლიტერატურა ნათარგმნი იყო ინგლისურად. თუმცა მათი მდიდარი სამეცნიერო ბაზები დოქტორანტს აძლევდა საშუალებას ფრანგულად და გერმანულად გაცნობოდნენ ლიტერატურას სურვილის შემთხვევაში. სილაბუსებში მითითებული იყო შესაბამისი ბმულები. ამავე დროს აღსანიშნავი იყო, რომ თავად დარგი მუდმივად განახლებადი იყო და ხშირ შემთხვევაში დოქტორანტები თავად იკვლევდნენ გზას და მოიპოვებდნენ უახლეს სახელმძღვანელოებს, რომლებსაც მერე მათაც უზიარებდნენ. თუმცა დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებდა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციას და სილაბუსებში მიუთითებდა ინგლისურის გარდა სხვა უცხოენოვან ლიტერატურას.
საბჭოს წევრმა ნინო ჭალაგანიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა განემარტა კულტურისა და მედიის კვლევების კორელაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თავად ვიზუალური ანთროპოლოგია როგორც ინტერდისციპლინა იყო ახალი, ვიზუალური კომუნიკაციების კვლევა მისი სოციოლოგიურ-კულტურული, ფსიქო-კულტურული ასპექტების მედიის დამოუკიდებელ სივრცეში არსებობა იყო ახალი. აღსანიშნავი იყო, რომ მედიაკომუნიკაციას ჰქონდა უკუზემოქმედების ძალა, რამდენადაც თავიდან რჩება შთაბეჭდილება, რომ მედიაში საზოგადოებას შეაქვს ვიზუალური კომუნიკაციის მექანიზმები, შემდეგ მედია თავად ასტრუქტურირებს საზოგადოების ცნობიერებას. ცნობიერების ახალი მოდელის კონსტრუქცია მომდინარეობდა სწორედ მედიაში არსებული ასპექტების ერთობლიობით, რომელიც ეხებოდა საზოგადოების სოციალურ-კულტურულ ყველა საკითხს.
საბჭოს წევრი ნინო ჭალაგანიძე დაინტერესდა სტუდენტების რაოდენობით და, ასევე, რამდენი დისერტაცია იყო მიმდინარე ეტაპზე დაცული.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი პროგრამა პირვანდელი ვერსიით წარმოდგენილი იყო ორი მოდულით, სადაც მოხდა ოთხი დისერტაციის დაცვა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდა დაწესებულებას მცდელობა აღნიშნული მიმართულებით შეემუშავებინა ერთობლივი პროგრამა რომელიმე უცხოურ უნივერსიტეტთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ გააჩნდათ გარკვეული კავშირები გერმანიაში, საიდანაც გამოიკვეთა დაინტერესება მათი პროგრამის მიმართ, თუმცა სანამ პროგრამას არ მიენიჭებოდა აკრედიტაცია აღნიშნული თანამშრომლობა ვერ შედგებოდა, თუმცა ამის პერსპექტივა სამომავლოდ არსებობდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბოლო 4-5 წლის მანძილზე ინტერესი ვიზუალური ანთროპოლოგიის თვალსაზრისით უცხო ქვეყნების მხრიდან მათი უნივერსიტეტისადმი გაზრდილი იყო. თავად დარგი ბოლო პერიოდში გახდა მოთხოვნადი. მათ ჰქონდათ ბევრი წინადადება საერთაშორისო კონფერენციებში და სიმპოზიუმებში მონაწილეობის. პროგრამა იყო გამორჩეული, მისი ზუსტი ანალოგი საქართველოში არ არსებობდა და ნათელი იყო მისი განვითარების პერსპექტივა, თუნდაც ერთობლივი პროგრამის შემუშავების თვალსაზრისითაც.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყებისდრო: 16:53**
**დასრულებისდრო: 17:05**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები)“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრისშედეგი:**
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები)“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2028 წლის 31 დეკემბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები, განისაზღვროს თუ კონკრეტულად როდის, რა პერიოდულობითა და

რა მეთოდების გამოყენებით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება, რაც პროგრამის აკრედიტაციიდა და მისი ფუნქციონირების დაწყების შემთხვევაში, გამოყენებული იქნება გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესებისათვის;

- კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებსა (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ფლობა B2 დონეზე) და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ინგლისურ ენაზე მითითებულ სასწავლო ლიტერატურას ახლდეს იმავე ლიტერატურის გერმანულ და ფრანგულენოვანი გამოცემის/ელექტრონული მისამართის მითითება, ან მომზადდეს სასწავლო კურსის რიდერი, სადაც თავს მოიყრის მითითებულის გარდა, სხვა ენებზე არსებული იმავე ლიტერატურის ვერსიები. რაც შეეხება რუსულენოვან ლიტერატურას, რადგან რუსული ენა ჩაბარების წინაპირობებში არ არის, იგი შესაძლოა გადავიდეს ძირითადიდან დამხმარე ლიტერატურაში, ძირითადში კი ჩანაცვლდეს სხვა ენაზე არსებული ვერსიით, ან რიდერში ჩაიდოს მისი ქართული თარგმანი;
- რადგან კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა არ განეკუთვნება იმ სპეციფიკურ სახელოვნებო პროგრამათა რიცხვს, სადაც სააუდიტორიო მეცადინეობაზე დასწრების გარეშე შედეგი ვერ მიიღწევა, ამიტომ რეკომენდებულია, დასწრების 10 ქულა გადანაწილდეს სხვადასხვა სააუდიტორიო აქტივობაში, რომელიც უფრო ადეკვატურად უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნის/უნარის/კომპეტენციის შეფასებას. დასწრების 10 ქულის გადანაწილება არ ეხება პროფესორის ასისტენტობას, სადაც დასწრების კომპონენტი შედეგის მიღწევას განაპირობებს;
- ფორმალიზების უფრო მაღალ ხარისხს საჭიროებს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა: რეკომენდებულია განისაზღვროს და გაიწეროს პერსონალის კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა, სამიზნე ნიშნულები ან მინიმალური მოთხოვნები; საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის გამოყენებული თითოეული პროცედურა და მექანიზმი. ერთიანი ფორმალური პოლიტიკის დოკუმენტში აღნიშნული საკითხების თავმოყრა უზრუნველყოფს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთიან ხედვას, როგორც შიდა ასევე გარე დაინტერესებულ მხარეებში, ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

**5.მეხუთე საკითხი:** შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ტურიზმი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე - 6 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | საქართველო, თბილისი 0101, სამღერეთის ქ. N5 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:
რეკომენდებული იყო „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების (1,2,3,) მოდიფიცირება და აკრედიტაციის სტანდარტი 1. ქვესტანდარტი 1.1. კრიტერიუმების მიხედ-ვით ფორმულირება - ,,პროგრამის მიზანი ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ის უნდა იყოს რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადი”.
რეკომენდებული იყო პროგრამის კურიკულუმში სავალდებულო სასწავლო კურსები (ტურიზმის საფუძვლები, ტურიზმის პოლიტიკა და სამართლებრივი რეგულირება,

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების საფუძვლები, პროექტის მართვა, შესავალი კვლევის მეთოდებში, ტურიზმის სტატისტიკა) განაწილებული ყოფილიყო იერარქიული საფეხურების დაცვით, სემესტრების მიხედვით ლოგიკურად და თანმიმდევრულად.
რეკომენდებული იყო სასწავლო კურსებზე (ტურიზმის პოლიტიკა და სამართლებრივი რეგულირება, სასტუმროს და რესტორნის მენეჯმენტი, ბიზნეს ტურიზმი, გიდის ხელოვნება, ტურიზმის სტატისტიკა, რისკების მენეჯმენტი და უსაფრთხოების მართვა ტურიზმში, შესავალი კვლევის მეთოდებში, ღვინის ტურიზმი, რელიგიური ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი, საერთაშორისო ტურიზმი, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა, გასტრონომიული ტურიზმი, სამუზეუმო ხელოვნება, ბრენდის მართვა, უცხო ენა (ქართული, ჩინური, რუსული, თურქული, გერმანული) 2, 3, 4 ნაწილი. გათვალისწინებული ყოფილიყო დაშვების წინაპირობები.
რეკომენდებული იყო პროგრამის კურიკულუმში არ ყოფილიყო გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო კურსი - დარგობრივი უცხო ენა (ინგლისური) ტურიზმისათვის, რადგან ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ენა იყო ინგლისური (ინგლისური სექტორი).
რეკომენდებული იყო სასწავლო კურსების სილაბუსებში (მარკეტინგის საფუძვლები, ტურიზმის მარკეტინგი, სასტუმროს და რესტორნების მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში, რისკების მენეჯმენტი და უსაფრთხოების მართვა ტურიზმში, ლიდერობა) წარმოდგენილი სასწავლო მასალა/საკითხთა ჩამონათვალი/შინაარსი დაკორექტირებული ყოფილიყო და/ან შეცვლილიყო სახელმძღვანელო და სასწავლო კურსების სილაბუსები შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი სწავლის შედეგებთან.
ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის რეკომენდებული იყო უსდ-ს მიერ დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე აკადემიური/მოწვეული/ პერსონალის უზრუნველყოფა.
რეკომენდებული იყო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გაეძლიერებინა კონტ-რო-ლი პრო-გ--რამის შეფასების ყველა ეტაპზე (შე-მუ-შა--ვება, განხორციელება) და მოეხდინა შემოწ-მე-ბის შედეგების ერთობლივად განხილვა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალ-თან, რაც უზ-რუნ-ველყოფდა გასაუმჯობესებელი გარემოებების/ხარვეზების დროულად გამოვლენასა და აღმოფხვრას.
აუცილებელი იყო ჩასწორებულიყო დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასება (პირდაპირი მე-თო-დი)“ არსებული ხარვეზი - ნაცვლად პროგრამის ყველა შედეგთან შეფასების ინსტრუმენ-ტებში მი--თი-თებული სწა-ვ-ლა-სწავლების მეთოდებისა მითითებული ყოფილიყო შეფასების ის მეთოდე-ბი/ინსტ-რუ-მენ-ტე-ბი, რო-მლებიც უზრუნველყოფდნენ აღნიშნული შედეგის მიღწევის დადასტურებას და გაზომვას.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ წერილს არგუმენტირებული პოზიციის შესახებ, სადაც გამოიკვეთა, რომ გარკვეული რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო, ხოლო გარკვეულ ნაწილზე დაწესებულებას ჰქონდა თავისი პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით რეკომენდაციების შესრულება სავალდებულო იყო და დაწესებულებას უნდა მოეხდინა რეაგირება.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია**

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰყავდა ახალი დამფუძნებელი, ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი, რომლის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ინტერნაციონალიზაცია. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავება გახლდათ წინ გადადგმული ნაბიჯი აღნიშნული კომპონენტის გასაღრმავებლად. მიმდინარე წლიდან უნივერსიტეტი გახლდათ ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის მფლობელობის ქვეშ და ჰოლდინგის მიზანი გახლდათ სხვადასხვა ქვეყანაში

სტუდენტებისათვის შეეთავაზებინათ ინგლისურენოვანი საერთაშორისო დონის უმაღლესი განათლება. განხორციელდა უნივერსიტეტის მისიის და ხედვის მოდიფიცირება და ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად განისაზღვრა ინტერნაციონალიზაცია სწავლების და კვლევების მიმართულებით, ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრისთვის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. აღნიშნული პროგრამა გახლავთ მათი ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი კომპონენტი. უნივერსიტეტი სერიოზულად მოეკიდა პროგრამის შემუშავების საკითხს, ჩართული იყო პერსონალი, ყველა დაინტერესებული მხარე და თავად დამფუძნებელიც. პროგრამის ძირითადი ნაკადი წარმოდგენილი იქნება ჰოლდინგში შემავალი სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან, პროგრამის შემუშავებაში ჩინეთის მხრიდან ჩართული იყო ორი დამსაქმებელი და მათი რიცხვი სამომავლოდ გაიზრდებოდა. პროგრამის მდგრადობის გარანტი იყო, უშუალოდ, დამფუძნებელი, რაც გამოიხატა სტაჟირების, პრაქტიკის და დასაქმების შეთავაზებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში განხორციელდა საქართველოში არსებული ტურიზმის მიმართულების პროგრამების შესწავლა, მოხდა დადარება ევროპის და აზიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამებთან, რის შემდეგაც გადმოტანილი იქნა და დაინერგა საუკეთესო პრაქტიკა ტურიზმის პროგრამის მიმართულებით. საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება თანხვედრაში იყო ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებთან. ამავდროულად, ჩატარდა დამსაქმებელთა კვლევა, სადაც გამოიკვეთა ის ნაკლოვანებები, რომელიც დღეს ტურიზმისა და მასპინძლობის დარგს ახასიათებს. პროგრამის შემუშავებისას ამომავალი წერტილი იყო სტუდენტი და მისი სამომავლო პერსპექტივაში წარმატებით დასაქმება. ასევე, პროგრამაში ჩაერთო არაერთი მაღალკვალიფიციური პერსონალი და შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო ექსპერტების მოსაზრებებიც.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, მოხდა გარკვეული ნაწილის გათვალისწინება. ამოღებული იქნა დარგობრივი უცხო ენა პროგრამიდან, წინაპირობებთან დაკავშირებით გადაიხედა სილაბუსები, პერსონალთან ერთად განხორციელდა გარკვეული დეტალების მოდიფიცირება. პროგრამის წარმატებით აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში დაწესებულება განაგრძობდა როგორც რიდერების მუდმივ განახლებას და გაუმჯობესებას, ასევე მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვის პოლიტიკაზე მუშაობას პროგრამის წარმატების მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციაში შემუშავებული იყო პერსონალის შერჩევის წესი, რომელიც ითვალისწინებს როგორც აკადემიურ, ისე პრაქტიკულ და პროფესიულ გამოცდილებას. არგუმენტირებული პოზიციის წერილში წარმოდგენილი იყო პერსონალის განვრცობითი გამოცდილება. რაც შეეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის კონტროლის გაძლიერებას, ინტერვიუების დროსაც აღინიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა გაწერილი ცხრილი/სქემა, სადაც მითითებული იყო თუ რა ინტენსივობით, რომელი სამიზნე ჯგუფის გამოკითხვა ტარდებოდა იმისათვის, რომ მიღებული ყოფილიყო რეალური შედეგი. ასევე დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშის დოკუმენტი, რომელშიც გაუსის მეთოდოლოგიით განხორციელებული იყო პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების დადარება. დოკუმენტში, პირდაპირ მეთოდებში აღწერილი იყო შეფასების ინსტრუმენტები, ხოლო არაპირდაპირ მეთოდებში ხარისხის კვლევები და საბოლოო ანალიზი. ასევე, აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულების მისიის ცვლილებამ გამოიწვია კვლევის და ინტერნაციონალიზაციის პირველ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის დებულებაში არსებობდა განმარტება, რომ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები არ უკავშირდებოდა ადმინისტრირებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩანაწერის თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი შესაძლებელი იყო ყოფილიყო როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი, მათი ფუნქცია - მოვალეობები გაწერილი იყო დეტალურად ცალკე დოკუმენტით, რაც თანხვედრაში იყო კანონთან.

საბჭოს წევრი ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა მეხუთე რეკომენდაციით, სადაც საუბარი იყო სასწავლო კურსების შინაარსთან მიმართებით. ჩამოთვლილი იყო სასწავლო კურსები, სადაც საჭირო იყო პროგრამის შინაარსის ცალკეული კურსების და ლიტერატურის გადახედვა. არგუმენტაციის თანახმად იყო თემების დუბლირებები. მას აინტერესებდა, რეკომენდაციის თანახმად გამოხატული იყო მხოლოდ თემების დუბლირებები, თუ შეინიშნებოდა სასწავლო კურსის დასახელების და თემატიკის გარკვეული შეუსაბამობა.
ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაციაში აქცენტი კეთდებოდა დუბლირებებზე და იმავდროულად სასწავლო კურსის სათაურისა და თემატიკის შეუსაბამობაზე. თემატიკაზე რომელიც მიუღებელი იყო კონკრეტული სასწავლო კურსისათვის.
საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა კურსით „ადამიანური რესურსების მართვა ტურიზმში“. მას აინტერესებდა თუ რითი განსხვავდებოდა აღნიშნული სასწავლო კურსი იმ კურსისაგან, რომელიც იყო გათვალისწინებული წინა პროგრამაში და რატომ არ ერქვა კურსს მხოლოდ ადამიანური რესურსების მართვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან მათი პროგრამა ორიენტირებული იყო ტურიზმზე გადაწყდა, რომ კონკრეტიკა გაკეთებული ყოფილიყო იმ ადამიანური რესურსების ნაწილზე, რომელიც სჭირდებოდა ტურიზმის ინდუსტრიას. კონკრეტულად იგულისხმებოდა სტუმარმასპინძლობის მიმართულება, სასტუმროების განხრით, ტურისტული კომპანიების მიმართულებით და ა.შ., რაც დაკავშირებული იყო სპეციფიკურ ცოდნასთან.
საბჭოს წევრი ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა თუ როგორ გავიდოდა აღნიშნული სპეციფიკა მითითებულ სპეციფიკაზე, როდესაც სილაბუსში დაფარული იყო ადამიანური რესურსების ზოგადი სპეციფიკა. ხომ არ იქნებოდა უმჯობესი სპეციფიკური სახელმძღვანელოების შეთავაზება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლიტერატურის შეთავაზების თვალსაზრისით სრული ავტონომიურობა მიენიჭა კურსის განმახორციელებელ პირს. პროგრამაში ვერ მოხერხდა ქართულენოვანი ლიტერატურის გამოყენება, ვინაიდან პროგრამა იყო ინგლისურენოვანი. შესაბამისად აქცენტი გაკეთდა იმ ლიტერატურაზე, რომელიც ფარავდა როგორც საფუძვლების ნაწილს, ასევე კონკრეტულ აქცენტებს ტურიზმის ადამიანური რესურსების მიმართულებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინსტიტუციაში მიმდინარეობდა მუშაობა ჰენდაუთების შემუშავებაზე, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა უახლეს ლიტერატურაზე და ინსტიტუცია დააფინანსებდა მათ დაბეჭდვას.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 17:32**
**დასრულების დრო: 17:50**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2023 წლის 1 ივლისამდე, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2023 წლის 1 ივლისამდე 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების (1,2,3,) მოდიფიცირება და აკრედიტაციის სტანდარტი 1. ქვესტანდარტი 1.1. კრიტერიუმების მიხედ-ვით ფორმულირება - ,,პროგრამის მიზანი ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ის უნდა იყოს რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადი”.
- რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმში სავალდებულო სასწავლო კურსები (ტურიზმის საფუძვლები, ტურიზმის პოლიტიკა და სამართლებრივი რეგულირება, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების საფუძვლები, პროექტის მართვა, შესავალი კვლევის მეთოდებში, ტურიზმის სტატისტიკა) განაწილდეს იერარქიული საფეხურების დაცვით, სემესტრების მიხედვით ლოგიკურად და თანმიმდევრულად.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებზე (ტურიზმის პოლიტიკა და სამართლებრივი რეგულირება, სასტუმროს და რესტორნის მენეჯმენტი, ბიზნეს ტურიზმი, გიდის ხელოვნება, ტურიზმის სტატისტიკა, რისკების მენეჯმენტი და უსაფრთხოების მართვა ტურიზმში, შესავალი კვლევის მეთოდებში, ღვინის ტურიზმი, რელიგიური ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი, საერთაშორისო ტურიზმი, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა, გასტრონომიული ტურიზმი, სამუზეუმო ხელოვნება, ბრენდის მართვა, უცხო ენა (ქართული, ჩინური, რუსული, თურქული, გერმანული) 2, 3, 4 ნაწილი. გათვალისწინებული იქნას დაშვების წინაპირობები.
- რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმში არ იქნას გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო კურსი - დარგობრივი უცხო ენა (ინგლისური) ტურიზმისათვის, რადგან ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ენა არის ინგლისური (ინგლისური სექტორი).
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში (მარკეტინგის საფუძვლები, ტურიზმის მარკეტინგი, სასტუმროს და რესტორნების მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში, რისკების მენეჯმენტი და უსაფრთხოების მართვა ტურიზმში, ლიდერობა) წარმოდგენილი სასწავლო მასალა/საკითხთა ჩამონათვალი/შინაარსი დაკორექტირდეს და/ან შეიცვალოს სახელმძღვანელო და სასწავლო კურსების სილაბუსები შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან.
- ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის რეკომენდებულია უსდ-ს მიერ დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე აკადემიური/მოწვეული/ პერსონალის უზრუნველყოფა.

- რეკომენდებული იყო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს კონტ-რო-ლი პრო-გ--რამის შეფასების ყველა ეტაპზე (შე-მუ-შა--ვება, განხორციელება) და მოახდინოს შემოწ-მე-ბის შედეგების ერთობლივად განხილვა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალ-თან, რაც უზ-რუნ-ველყოფს გასაუმჯობესებელი გარემოებების/ხარვეზების დროულად გამოვლენასა და აღმოფხვრას.
- აუცილებელია დაკორექტირდეს დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასება (პირდაპირი მე-თო-დი)“ არსებული ხარვეზი - ნაცვლად პროგრამის ყველა შედეგთან შეფასების ინსტრუმენ-ტებში მი--თი-თებული სწა-ვ-ლა-სწავლების მეთოდებისა მიეთითოს შეფასების ის მეთოდე-ბი/ინსტ-რუ-მენ-ტე-ბი, რო-მლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული შედეგის მიღწევის დადასტურებას და გაზომვას.

**რჩევები:**

- მიზანშეწონილია, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან სწორად და ნათლად აისახოს "პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქაზე"
- სასურველია, პლათფორმაზე gttu.edu.ge - ზე აისახოს ინფორმაცია სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის შესახებ. მაგ: განთვასდეს ინფორმაცია საკონსულტაციო დღისა და დროის შესახებ, ასევე გაკეთდეს სამსახურის ფუნქციის მოკლე აღწერილობა და ა.შ.
- მიზანშეწონილია, დაწესებულებამ დროულად განახორციელოს საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეული მექანიზმის დანერგვა - საერთაშორისო ექსპერტებისა და პროფესორების ჩართულობით პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებას და პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას;
- სასურველია, ინგლისურენოვანი ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განსახორციელებლად უსდ-მ პრაქტიკაში დანერგოს უცხოეული დარგის სპეციალისტების (დარგის შესაბამისი კვალიფიკაციით და გამოცდილებით) მოწვევა.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 18 ოქტომბრის 18:15 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით